აჭარის წყლის ალიანსი

N 155
10/10/2022

155-01-2-202210101625

https://edocument.ge/AdjaraGov/public

**შუახევის მუნიციპალიტეტის მერს**
**ბატონ ომარი ტაკიძეს**

**თემა: დაბა შუახევში დაგეგმილი #1 და #2 ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების დარეზერვება და დაცვა**

**ბატონო ომარ**

როგორც იცით, რომ გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში (ასევე ევროკავშირის დამატებითი დაფინანსებით) ხორციელდება დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდის პროგრამა აჭარაში, რომელიც ეხება აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მშენებლობას.

შუახევის მუნიციპალიტეტში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 5 აგვისტოს #21/4198 წერილით გადმოგზავნილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 2 აგვისტოს „შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბა შუახევში სს „აჭარის წყლის ალიანსის" ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა (N 1) და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" #222/ს ბრძანებისა და #44 სკოპინგის დასკვნის, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 3 აგვისტოს „შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბა შუახევში სს „აჭარის წყლის ალიანსის" ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (N 2) მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" #227/ს ბრძანებისა და #45 სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა წარედგინოს **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში** ჩამდინარე წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობისთვის **შუახევის მუნიციპალიტეტის** დაბის არეალისთვის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მოთხოვნის შესაბამისად **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში** წარმოდგენილი უნდა იყოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია და ასევე გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

www.awa.ge

რადგან საპროექტო ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ამიტომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ წერილობით დაგვიდასტუროთ, რომ შუახევის მუნიციპალიტეტი თანახმაა პროექტით განსაზღვრულ ნაკვეთებზე მოხდეს გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ასევე რომ უზრუნველყოფთ, მიიღოთ ყველა საჭირო ზომა აღნიშნულ ტერიტორიებზე ნაკვეთების დარეზერვებისა და დაცულობის მიზნით, რათა არ შეიზღუდოს მისი ხელმისაწვდომობა.

*დანართები:*

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 5 აგვისტოს #21/4198 წერილი;
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 2 აგვისტოს „შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბა შუახევში სს „აჭარის წყლის ალიანსის" ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა (N 1) და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" #222/ს ბრძანება;
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 3 აგვისტოს „შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბა შუახევში სს „აჭარის წყლის ალიანსის" ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (N 2) მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" #227/ს ბრძანება;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს #44 სკოუპინგის დასკვნა;
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს #45 სკოუპინგის დასკვნა;
6. შუახევის მუნიციპალიტეტში N 1 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის შეიფ-ფაილების ელექტრონული ვერსია;
7. შუახევის მუნიციპალიტეტში N 2 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის შეიფ-ფაილების ელექტრონული ვერსია.

**პატივისცემით,**

თეიმურაზ ბედინაძე

დირექტორი